



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080108359723119

№ 1255

05 / მარტი / 2019 წ.

შპს „არალი“ თეთრ სიაში დარეგისტრირების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2019 წლის 20 თებერვალს წარმოდგენილ იქნა შპს „არალი“ (ს/ნ: 222725807) 2019 წლის 20 თებერვლის №62 მომართვა (რეგისტრაციის №1898), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2019 წლის 4 მარტს მიმწოდებელმა წარმოადგინა 2019 წლის 4 მარტის №82 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის №2445), რომლითაც მიმწოდებელმა გამოასწორა მის მომართვაზე სააგენტოს 2019 წლის 1 მარტის №923 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ამ წესის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამონუვრვამდე არაუადრეს ორი და არაუგვიანეს ერთი თვით ადრე, მიმწოდებელს უფლება აქვს, წარადგინოს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მომართვა, ამ წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით კი, იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მომართვას წარადგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მინიმალური ვადის დარღვევით, მას შესაძლოა არ გაუგრძელდეს რეგისტრაციის ვადა. ასეთ შემთხვევაში, მისი მომართვა ჩაითვლება თეთრ სიაში რეგისტრაციის ახალ მოთხოვნად, რომელიც განიხილება ამ წესის მე-5 მუხლის შესაბამისად.

მიმწოდებელმა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მომართვა სააგენტოში წარმოადგინა 2019 წლის 20 თებერვალს, ხოლო მისი თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურებოდა 2019 წლის 4 მარტს. შესაბამისად, სააგენტომ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ მიმწოდებლის მომართვა ჩათვალა თეთრ სიაში რეგისტრაციის ახალ მოთხოვნად.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვა თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 მუხლით და დაადგინა:

1. შპს „არალი“ (ს/ნ: 222725807) 2019 წლის 6 მარტს დარეგისტრირდეს თეთრ სიაში.
2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.
3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

